განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ტურიზმი, ბაკალავრიატი (პირველი საფეხური)

შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი: 28-29 ოქტომბერი 2021

დასკვნის წარდგენის თარიღი: 17 ნოემბერი 2021

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	208215509
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ტურიზმი
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი (პირველი საფეხური)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	ტურიზმის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	1015 მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	პირობით აკრედიტებული 38., 19.03.2020

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკა ლეკაშვილი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკა დევიძე, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	რუსუდან სეთურიძე, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

[1] ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

	უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	სოფიო უგრეხელიძე, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ თავხელიძე, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის მიერ აკრედიტაციის მიზნით შესაფასებლად წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამა ,,ტურიზმი" მოქმედებს პირობითი აკრედიტაციის რეჟიმში საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 19 მარტის N38 გადაწყვეტილების საფუძველზე.

საბაკალავრო პროგრამის ხანგრძლივობა მოიცავს 4 აკადემიურ წელს. 136 ECTS კრედიტი ეთმობა სპეციალობის სავალდებულო კურსებს, 13 ECTS კრედიტი - სპეციალობის არჩევით კურსებს, 12 ECTS კრედიტი საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსებს, 30 ECTS კრედიტი საუნივერსიტეტო სავალდებულო უცხო ენის ბლოკს (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული, ესპანური) და 49 ECTS კრედიტი თავისუფალ არჩევით სასწავლო კურსებს. სპეციალობის სავალდებულო კურსების ნაწილში 6-6 ECTS კრედიტით წარმოდგენილია პრაქტიკა ტურიზმში და საბაკალავრო ნაშრომი ტურიზმში.

საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტში ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა მოქმედებს 2010 წლიდან და იგი უნივერსიტეტისთვის პრიორტეტული მიმართულებას წარმოადგენს. უნივერსიტეტში განხორციელდა ტურიზმის მიმართულებით შრომის და განათლების ბაზრების კვლევა, რაშიც გამოვლინდა წარმოდგენილ სფეროში კვალიფიციური კადრების მომზადების საჭიროება. კვლევის შედეგების და აკრედიტაციის საბჭოს პირობითი აკრედიტაციის მინიჭების დროს გაწეული რეკომენდაციების გათვალისწინებით, პროგრამა გადამუშავდა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი პროცედურების დაცვით დამტკიცდა აკადემიური საბჭოს მიერ. პროგრამის გადამუშავებისას, ასევე, გათვალისწინებულ იქნა ტურიზმის დარგობრივი მახასიათებლები. პროგრამის და მისი კომპონენტების სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდა ,,ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს და სწავლის სფეროსების კლასიფიკატორთან" (საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება N 69/ნ. 2019 წლის 10 აპრილი); დაიხვეწა პროგრამის სტრუქტურა და დიზაინი; გაიზარდა პრაქტიკის კომპონენტის მოცულობა; შემცირდა სასემინარო ჯგუფებში სტუდენტთა რაოდენობა; გაიზარდა გაცვლითი პროგრამების რაოდენობა; ამოქმედდა სამეცნიერო კვლევის მხარდაჭერის მექანიზმი; პროგრამის გაუმჯობესების მიზნით შეიქმნა მრჩეველთა საბჭო და სარევიზიო კომიტეტი; დაზუსტდა სწავლა-სწავლების მეთოდები სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე; დაიხვეწა სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები; შემუშავდა სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი; განახლდა სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა.

სწავლების ენა არის ქართული. პროგრამის ხანგრძლივობა 4 აკადემიური წელი. პროგრამას ბოლო 5 წლის განმავლობაში ჰყავს ჩარიცხული 1915 სტუდენტი, რომელთაგან

სტატუსშეწყვეტილია - 140, სტატუსშეჩერებული - 774, 121 კურსდამთავრებულია და 717 აქტიური სტუდენტი. პროგრამაში ჩართულია 49 აკადემიური პერსონალი, რომელთაგან 17 აფილირებულია. 2020 წელს კურსდამთავრებულთა 73% დასაქმდა, მათგან 41% კვალიფიკაციის მიხედვით. 8 %-მა გააგრძელა სწავლა მაგისტრატურის საფეხურზე.
აღსანიშნავია, რომ პროგრამის გადამუშავების პროცესში აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ერთად ჩართულნი იყვნენ სტუდენტები, კურსდამთავრებული და დამსაქმებლები. პროგრამამ გაიარა გარე ექსპერტიზა.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

საგანმანათლებლო პროგრამის სააკრედიტაციო შეფასება განხორციელდა შერეული ფორმატით, 28 ოქტომბერს - დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, ხოლო 29 ოქტომბერს - ადგილზე ვიზიტის საფუძველზე. შეფასებამდე, ჯგუფის თავმჯდომარემ გადაანაწილა წევრებზე კონკრეტული დავალებები და დააორგანიზა დისტანციური წინასააკრედიტაციო შეხვედრა. ჯგუფის წევრებმა გაცვალეს ინფორმაცია, შეაჯერეს კონკრეტული ბუნდოვანი საკითხები, კითხვები და ერთმანეთს გაუზიარეს მოსაზრებები საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ. დააზუსტეს საკითხთა წრე, რომელიც იწვევდა განსაკუთრებულ ინტერესს. შეთანხმდა სააკრედიტაციო ვიზიტის განრიგი. შემუშავდა შეკითხვების ჩამონათვალი. უნივერსიტეტს გაეგზავნა დამატებითი დოკუმენტების და მასალების წარმოდგენის თხოვნა, მათ შორის: მრჩეველთა საბჭოს და სარევიზიო კომისიების შექმნისა და მათი ფუნქციების განსაზღვრის შესახებ აქტები და ამ ორგანოების მუშაობის ამსახველი ოქმები; საბაკალავრო ნაშრომი და პრაქტიკის დღიური - 4-5 ცალი სხვადასხვა შეფასებით; ინფრასტრუქტურის, ტექნიკური აღჭურვილობის და წიგნადი ფონდის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი; საერთაშორისო ბაზების გამოყენების სტატისტიკა; საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციასთან გაფორმებული ხელშეკრულება; საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებში ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტი; შენობის უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის (ვენტილაცია, ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობა და ა.შ.) დამადასტურებელი დოკუმენტი; აკადემიური პერსონალის მიხედვით მთლიანი დატვირთვა; ასევე, დოკუმენტები: 1) "სეუ-ს პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების წესები აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის; 2) "აკადემიური პერსონალის მიერ სასწავლო წლის განმავლობაში შესრულებული და შესაბამისი აქტივობების მიხედვით დაგროვებული ქულების შესახებ". უსდ-მ ექსპერტებს წარუდგინა დამატებითი ინფორმაცია და დოკუმენტები ექსპერტების მოთხოვნის საფუძველზე.
დისტანციური შეფასება დაიწყო შეხვედრის განრიგით გათვალისწინებულ დროს, ექსპერტთა სრული შემადგენლობით. ჩატარდა გრაფიკით გათვალისწინებული ყველა შეხვედრა. ექსპერტებს ჰქონდათ სრული შესაძლებლობა გაცნობოდნენ ყველა დოკუმენტს, რომლითაც დასტურდებოდა თვითშეფასების ანგარიშსა და თანდართულ დოკუმენტებში წარმოდგენილი ინფორმაცია.
უნივერსიტეტში მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერებისას ექსპერტები გაეცნენ ყველა შესაძლებლობას, რაც პროგრამის ხარისხიანად განხორციელებას უზრუნველყოფს.

ვიზიტი წარიმართა საქმიან გარემოში. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ მაქსიმალურად უზრუნველყო პირობები იმისთვის, რომ ექსპერტთა ჯგუფს მიეღო სრულყოფილი ინფორმაცია პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

შესაფასებლად წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით. კერძოდ, 1.1 - სრულ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტთან; 1.2 - მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტთან; 2.1 - სრულ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტთან; 2.2 - მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტთან; 2.3 - სრულ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტთან; 2.4 - სრულ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტთან; 2.5 - სრულ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტთან; 2.6 - სრულ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტთან; 3.1 - სრულ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტთან; 4.1 - მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტთან; 4.2 - სრულ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტთან; 4.3 - სრულ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტთან; 4.4 - სრულ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტთან; 5.1 - სრულ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტთან; 5.2 - სრულ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტთან; 5.3 - სრულ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტთან.

- **რეკომენდაციები**

  - მიზანშეწონილია პროგრამის შედეგების ფორმულირების დახვეწა „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირებისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ მოთხოვნების გათვალისწინებით;

  - რეკომენდებულია, გადაისინჯოს/გადამოწმდეს სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები შემდეგ სასწავლო კურსებზე - ტურისტული დესტინაციის მენეჯმენტი, ტურიზმის სამართლებრივი რეგულირება, ღონისძიებათა მენეჯმენტი;

  - რეკომენდებულია სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების ბლოკიდან: ტურიზმის სამართლებრივი რეგულირება, ტურიზმის სტატისტიკა, გეო-ინფორმაციული ტექნოლოგიები ტურიზმში, ღონისძიებების მენეჯმენტი - წარმოდგენილი იყოს, როგორც სავალდებულო და არა არჩევითი კომპონენტი.

  - რეკომენდებულია აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობის ზრდა.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

  - სასურველია, ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში ძირითად ლიტერატურას მიეთითოს გვერდების სრული რაოდენობა, აკადემიური წერის პრინციპების დაცვით.

- სასურველია, ჩატარდეს პროფილური კვლევა სტუდენტების სწავლის დემოტივაციასთან დაკავშირებით.სასურველია გადამუშავდეს და განახლდეს პროგრამაში ჩართულ ზოგიერთ პერსონალზე CV-ში მოცემული ინფორმაცია;
- სასურველია, აკადემიური პერსონალის მაღალრეიტინგულ ჟურნალებში გამოქვეყნების მაჩვენებლების გაზრდა.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

  - ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმის ფარგლებში უნივერსიტეტის მიერ ადგილზე პრაქტიკის კომპონენტების (პრაქტიკა ტურისტულ სააგენტოში) გავლა არის სათანადოდ უზრუნველყოფილი. მოწყობილია სიმულაციური სივრცეები: ტურისტული სააგენტო (აღმოაჩინე საქართველო) და საველე პრაქტიკისთვის (30 სტუდენტისთვის) გათვლილია შესაბამისი აღჭურვილობა.
  - შშმ პირებისთვის ტექნიკური აღჭურვილობა, ადაპტირებული სივრცე და გარემო ,,გადაუდებელი პირველადი დახმარება" თეორიული და პრაქტიკული კურსის შესაძლებლობა (სასწავლო კურსი: ,,გიდის ხელოვნება"-ს ფარგლებში) - უნივერსიტეტის ბაზაზე მედიცინის ფაკულტეტის ,,პრაქტიკული სასწავლო ბაზა";
  - უნივერსიტეტმა დანერგა საკმაოდ კარგი პრაქტიკა, ატარებენ კონფერენციებს სტუდენტებისათვის, სადაც ხდება ინფორმაციის გაზიარება, რა ცვლილებები განხორციელდა პროგრამის ფარგლებში, რა სიახლეები იგეგმება, რა გაითვალისწინა ფაკულტეტმა სტუდენტებისაგან და ა.შ.
  - პროგრამის ფარგლებში ჩართული ორი უცხოელი პერსონალი;
  - შეთავაზებულია უცხო ენების უფასო კურსები აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის;
  - უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ტურისტული ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ტურისტული, ტექნიკური ინვენტარით და უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

    ხარისხის განვითარების დეპარტამენტში შემავალი ანალიზის სამსახური, რომელსაც დებულების თანახმად, ევალება უნივერსიტეტის საქმიანობის, პროგრამების განხორციელებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მიზნებისათვის გამოკითხვების, შეფასებებისა და კვლევების განხორციელება და მიღებული შედეგების ანალიზი. ანალიტიკის ფუნქციის გაძლიერება, ცალკე გამოყოფილი სტრუქტურული ერთეულის ფორმით, მნიშვნელოვანია PDCA ციკლის, რაც საფუძვლად უდევს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესს, პრინციპების სწორად განხორციელებისათვის, ვინაიდან შემოწმებისა (check) და რეაგირების (act) ეტაპებზე განსახორციელებელი ღონისძიებების ეფექტურობას ჩატარებული გამოკითხვებისა და კვლევების სწორი ანალიზი განსაზღვრავს, რაც თავის მხრივ, საფუძველია საქმიანობის სწორი დაგეგმვისა (Plan) და განხორციელების (Do);
  - უნივერსიტეტში დანერგილია პრაქტიკა ლექტორთა თვითშეფასების განხორციელების თაობაზე;
  - ტარდება შიდასაუნივერსიტეტო კონფერენციები შეფასებისა და კვლევების შედეგების განხილვის მიზნით;
  - დამსაქმებელები აქტიურად არიან ჩართულნი პროგრამის განხორციელებაში.

▪ **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 19 მარტის N38 გადაწყვეტილებით, სეუს ტურიზმის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია პირობით, ორი წლის ვადით. მითითებული გადაწყვეტილებით, საბჭომ ასევე დაადგინა შემდეგი რეკომენდაციები:

1. **აკადემიურ გარემოში მიღებული თეორიული ცოდნის განმტკიცებისა და პრაქტიკული უნარების შეძენისათვის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტისათვის გათვალისწინებულია პრაქტიკა, თუმცა რეკომენდებულია კრედიტის მოცულობის გაზრდა** - შესრულებულია: პრაქტიკის კომპონენტი გაიზარდა 6 ECTS კრედიტამდე.

2. **რეკომენდებულია სასწავლო პროცესი (სასემინარო/პრაქტიკული) მიმდინარეობდეს მცირე ჯგუფებში (25-30). უფრო მეტი ეფექტურობისათვის/ხარისხისათვის და სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობის შესაძლებლობის თვალსაზრისით**- შესრულებულია: სასემინარო-პრაქტიკული სამუშაო ჯგუფები 25-30 კაციანია.

3. **რეკომენდებულია უფრო მეტი გაცვლითი პროგრამის კომპონენტის ამოქმედება და მეტი შესაძლებლობები სტუდენტებს კვლევით პროექტებში მონაწილეობისათვის**- შესრულებულია: შემუშავდა ინტერნაციონლიზახიის სტრატეგია უნივერსიტეტისთვის და პროგრამისთვის. გაფორმდა მემორანდუმები უცხოეთის უნივერიტეტებთან. ამასთან, შეთავაზებულია უცხო ენების უფასო კურსები აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის.

4. **დაიხვეწოს პროგრამის სტრუქტურა და დიზაინი** - შესრულებულია: პროგრამის სტრუქტურა მოდიფიცირდა სფეროსთვის აქტუალური სასწავლო კურსებით, დარგობრივი მახასიათებლების გათვალისწინებით.

5. **სასწავლო კურსების შინაარსი გამრავალფეროვნდეს პრაქტიკული მაგალითებით** - შესრულებულია: ასახულია სასწავლო კურსების სილაბუსებში და პროგრამის დიზაინში.

6. **ხარისხის მექანიზმების შედეგად გამოკვეთილი საკითხები (დამსაქმებლის მიერ აღწერილი პრობლემები) აისახოს საგანმანათლებლო პროგრამაში ან მისი გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, არსებობდეს დასაბუთებული მტკიცებულებები** - შესრულებულია, დაწესებულებას მჭიდრო თანამშრომლობა აქვს დამსაქმებელთა გუნდთან, რომელთა რეკომენდაციები ასახულია საგანმანათლებლო პროგრამაში, რასაც ადასტურებს დამსაქმებელთა ჯგუფთან განხორციელებული ინტერვიუს შედეგები. აღნიშნული რეკომენდაციის შესასრულებლად, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის გადაწყვეტილებით შეიქმნა საგანმანათლებლო პროგრამის მრჩეველთა საბჭო და, ასევე, პროგრამის სარევიზიო კომიტეტი. აღნიშნულმა კომიტეტმა პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ერთად იმუშავა საბჭოს მიერ გაცემულ რეკომენდაციებზე და მათი გათვალისწინებით, განხორციელდა პროგრამის მოდიფიცირება. თუმცა დამსაქმებელთა მოთხოვნაა, რომ სტუდენტებმა უფრო მეტად იცოდნენ უცხოური ენა, რისთვისაც შესაბამისი სასწავლო კომპონენტები გაწერილია პროგრამის კურიკულუმში, როგორც ზოგადი,

ისე დარგობრივი მიმართულებით. ამასთან, აღსანიშნავია, რომ პროგრამის ხელმძღვანელის განცხადებით, დარგობრივი უცხო ენის სასწავლო კომპონენტის სილაბუსი დგება და ახლდება ტურიზმის მიმართულების სპეციალისტებთან კონსულტაციების საფუძველზე, რათა პროგრამაში ზუსტად ის მასალა იქნეს გათვალისწინებული, რისი ენობრივი კომპეტენციაც სჭირდებათ სტუდენტებს პრაქტიკული საქმიანობისათვის.

7. **სასწავლო კურსებში არსებული უნიფიცირებული სწავლება-სწავლის მეთოდები გადაიხედოს და თითოეულმა კომპონენტმა გაითვალისწინოს კონკრეტულად ამავე კომპონენტით მისაღწევი სწავლის შედეგების შესაბამისი სწავლება-სწავლის მეთოდები, შეფასების სისტემა, რომელიც ამავე დროს უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N3 ბრძანების მოთხოვნებს** - - შესრულებულია: სწავლა სწავლების მეთოდები გადამუშავდა ზემოთაღნიშნული ბრძანების საფუძველზე.

8. **სასწავლო კომპონენტებში განახლდეს ლიტერატურა** - შესრულებულია: განახლდა ლიტერატურა, შესაბამისად საბიბლიოთეკო ფონდი. გაციფრულდა მასალა და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. ამასთან, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია მუშაობს სხვა უნივერსიტეტებთან ორმხრივი ხელშეკრულების საკითხზე, რომლის საფუძველზეც მოხდება ციფრული რესურსების ურთიერთგაცვლა.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შესაფასებლად წარმოდგენილი ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის მიზნები გადამუშავდა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 19 მარტის N38 გადაწყვეტილების საფუძველზე გაცემული რეკომენდაციების, ასევე შრომისა და განათლების ბაზრების, დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა, სტუდენტთა მოთხოვნების კვლევის შედეგების, ტურიზმის სფეროში მიმდინარე თანამედროვე ტენდენციების და დარგობრივი მახასიათებლების გათვალისწინებით. პროგრამა ცვლილებებით დამტკიცდა აკადემიური საბჭოს სხდომაზე. ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის მიზანია: • განუვითაროს სტუდენტებს თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემაში ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების, გარემოსდაცვითი და კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების ტურისტული დანიშნულებით ექსპლუატაციისთვის შესაბამისი ცოდნა და პრაქტიკული უნარები; • გაარკვიოს სტუდენტები ტურისტული ინდუსტრიის მმართველობით და დარგობრივ სტრუქტურაში, შეასწავლოს მათ ტურისტული ბაზრის სამომხმარებლო ღირებულებების ფორმირების მექანიზმი, მსოფლიოს და საქართველოს ტურისტული ინდუსტრიის თანამედროვე მდგომარეობა და მდგრადი განვითარების ტენდენციები/პერსპექტივები; • განუვითაროს სტუდენტებს ტურისტული მომსახურების სისტემაში, ტურისტებთან ურთიერთობის სერვისის, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული უნარ-ჩვევები. პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია. მასში ასახულია ის ცოდნა, უნარები და კომპეტენციები, რომელიც ექნება კურსდამთავრებულს პროგრამის დასრულების შემდეგ. პროგრამის მიზნები ემსახურება იმ ცოდნისა და უნარების შეძენას, რომელიც ტურიზმის ინდუსტრიაში პრაქტიკული საქმიანობის წარმართვის უზრუნველყოფისთვის უმთავრესია და რასაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. მასში გათვალისწინებულია შრომის ბაზრის მოთხოვნები. პროგრამა შეესაბამება ზოგადად უსდ-ის მისიას, რომელიც მიმართულია შექმნას საერთაშორისოდ ცნობადი, სტუდენტსა და მის წარმატებაზე ორიენტირებული,

თანამედროვე სტანდარტების მქონე აკადემიური გარემო, რომელიც სტიმულს აძლევს სწავლას, სწავლებასა და კვლევას, შესაბამისად, ყველას უქმნის საკუთარი პოტენციალის სრული რეალიზების შესაძლებლობას და ამზადებს მაღალი კვალიფიკაციის მქონე კონკურენტუნარიან სპეციალისტებს შრომის ბაზრისათვის.

ამასთან, სეუ-ს მუდმივი მიზანია ევროპის უმაღლესი საგანმანათლებლო სივრცის ღირებულებებსა და პრინციპებზე დაფუძნებული განათლების უზრუნველყოფა, ინოვაციური და მოქნილი მიდგომების გამოყენება სტუდენტებისა და საზოგადოების სხვადასხვა საჭიროებისა და მოთხოვნის საპასუხოდ, მომავალი ტენდენციების განჭვრეტა და ხარისხის გაუმჯობესებაზე ფოკუსირება. ამ მიზნებიდან გამომდინარე, პროგრამაში ასახულია ინტერნაციონალიზაციის კომპონენტი, რაც მოიცავს უცხო ენის ბლოკის სწავლებას 30 ECTS კრედიტის მოცულობით (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული, ესპანური), ინგლისურ და გერმანულენოვანი სასწავლო კურსების შეთავაზებას, უცხოელი აკადემიური პერსონალის ჩართვას პროგრამის განხორციელებაში, გაცვლით პროგრამებში მონაწილეობას ერთი სემესტრის ხანგრძლივობით ბერლინსა და ბრაიდენბურგში, პერსონალის საერთაშორისო თანამშრომლობას, მათთვის ინგლისური ენის უფასო სწავლებას და ა.შ.

იმავდროულად, პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სპეციალური კომპონენტი მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- პროგრამის ფარგლებში სავალდებულოდ გათვალისწინებულია სტუდენტის არჩევით დასავლურ ენაზე საკომუნიკაციო უნარების განვითარება, არანაკლებ დარგობრივი პროფესიული კომუნიკაციის დონეზე.
- სტუდენტებისთვის უზრუნველყოფილია მეორე უცხო ენის შესწავლის შესაძლებლობა, პროგრამის თავისუფალი კრედიტებიდან.
- არჩევით სასწავლო კურსების ნაწილში გათვალისწინებულია ინგლისურენოვანი სავალდებულო ან დამხმარე ლიტერატურა, სასწავლო კურსის დონისა და სწავლების სემესტრის შესაბამისად.
- არჩევითი სტატუსით პროგრამაში გათვალისწინებულია ინგლისურენოვანი და გერმანულენოვანი სასწავლო კურსები.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს 2020-2026 წლების სტრატეგიული განვითარების და 2020-2022 სამოქმედო გეგმები, სადაც გამოკვეთილია ინტერნაციონალიზაციის კომპონენტის გაძლიერებაზე დაგეგმილი ღონისძიებები.

პროგრამის მოდიფიცირების და სრულყოფის მიზნით შეიქმნა მრჩეველთა საბჭო, სადაც 2 დამსაქმებელია წარმოდგენილი, და სარევიზიო კომიტეტი. დამსაქმებლების მხრიდან შემოთავაზებული იქნა თვალსაზრისები პრაქტიკის ობიექტების გამრავალფეროვნების და ეფექტიანი პრეზენტაციის სასწავლო კურსის შემოღების საჭიროების შესახებ, რაც აისახა პროგრამაში. პროგრამის ხელმძღვანელის, აფილირებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის, დაინტერესებული მხარეების მონაწილობით, მათი თვალსაზრისების

გათვალისწინებით გადამუშავდა პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები, მათი მიღწევის სწავლისა და სწავლების მეთოდები, სასწავლო კურსების ჩამონათვალი და სილაბუსების შინაარსი. განისაზღვრა სამიზნე ნიშნულები. პროცესი წარიმართა ,,სეუ-ს საგანამანათლებლო პროგრამის შემუშავების, გადასინჯვისა და შეწყვეტის პროცედურების“ და ,,სეუ-ს საგანამანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირებისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ შესაბამისად. პროგრამის შედეგები გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ. შესაფასებლად წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამა საჯარო და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანამანთლებლო პროგრამა; ○ უსდ-ის მისია და სტრატეგია; ○ ,,სეუ-ს საგანამანათლებლო პრგრამის შემუშავების, გადასინჯვისა და შეწყვეტის პროცედურები“; ○ ,,სეუ-ს საგანამანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირებისა და შეფასების მეთოდოლოგია“; ○ საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და მექანიზმები https://www.seu.edu.ge/ka/1518/; ○ შრომის და განათლების ბაზრის კვლევა; ○ უსდ-ის ვებ-გვერდი; ○ აკადემიური საბჭოს სხდომაზე. 2021 წლის 02 სექტემბრისსხდომის ოქმი N 05; ○ პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირებთან ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან „ტურიზმის ბაკალავრი“ თანხვედრაში, შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას. იგი შეესაბამება კვალიფიკაციათა ჩარჩოს ბაკალავრიატის საფეხურის დონეს.

ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:

- განმარტავს ტურიზმის სფეროში გამოყენებულ ძირითად ცნებებს, ტერმინებს და კანონმდებლობის მოთხოვნებს.
- აცნობიერებს ტურიზმის მენეჯმენტის ძირითად კონცეფციებს და მოდელებს, ტურიზმის სფეროს შესწავლის მნიშვნელობას; ახდენს ტურიზმის ინდუსტრიის სტრუქტურაში შემავალი ერთეულების/ სუბიექტების კლასიფიკაციის იდენტიფიცირებას; აანალიზებს ტურიზმის მმართველობით კატეგორიებს და მათ ფუნქციონალურ მახასიათებლებს ტურიზმის მენეჯმენტის სისტემაში.
- აღწერს ტურიზმის მარკეტინგის სფეროში ტურისტული მომსახურებისადმი მომხმარებელთა მიერ წამოყენებულ მოთხოვნა /მოლოდინებს, ტურისტული დესტინაციებისა და ღონისძიებების რეკლამირებას. არჩევს ტურიზმის საწარმოს ეკონომიკური და ფინანსური რეალიზაციის თავისებურებებს.
- აცნობიერებს მომსახურების ტექნოლოგიების (ტრანსპორტი, განთავსება, კვება) მართვის ზოგად ამოცანებს: სასტუმრო ბიზნესის განვითარების, სასტუმროს პერსონალის ფუნქციების, კვებისა და ტურისტთა სატრანსპორტო უზრუნველყოფის საკითხებს.
- აღწერს ტურიზმის რეგიონულ ღირსშესანიშნაობებს. არჩევს მსოფლიოს ტურისტულ რაიონებს, მათ იერარქიასა და ტიპოლოგიას. აანალიზებს საერთაშორისო ტურიზმის მდგრადი განვითარების გლობალურ და რეგიონულ ასპექტებს.
- ახდენს საქართველოს ტურისტული რესურსების ბუნებრივ-რეკრეაციული და საკურორტო-ტურისტული პოტენციალის ხარისხობრივი მახასიათებლების იდენტიფიცირებას. აღწერს საქართველოს რეგიონებში არსებული სტრატეგიული ტურისტული რესურსებისა და მათთან დაკავშირებული შესაბამისი ინფრასტრუქტურის მდგომარეობას.
- აცნობიერებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებაში კულტურული და ეთნოგრაფიული ტურიზმის, როგორც პრიორიტეტული

მიმართულებების მნიშვნელობას საერთაშორისო მოგზაურობებში.

- ახდენს თანამედროვე საბუნებისმეტყველო ტურიზმის დარგობრივი მიმართულებების (ეკოლოგიური, აგრო, სამკურნალო-კურორტოლოგიური) იდენტიფიცირებას; ცალკეული მიმართულებების შესაბამისად რესურსული პოტენციალისა და შესაძლებლობების შეფასებას.
- ახორციელებს მიზნობრივ-თემატური ტურისტული პროდუქტის შექმნას, ტურების/ექსკურსიების დაგეგმვას, თვითღირებულების გამოთვლასა და ფასის დადგენას აპრობირებული მეთოდებით; ბილეთების დაჯავშნას საერთაშორისო დაჯავშნის სისტემების გამოყენებით: ტრანსპორტირებას, განთავსებას, კვებას, ცალკეული ჯგუფებისა და ინდივიდებისათვის.
- უზრუნველყოფს ზეპირ და წერილობით კომუნიკაციას საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, მოსაზრებებს ტურიზმში არსებული გამოწვევების რეალიზაციის შესახებ, ტურიზმთან დაკავშირებული პრაქტიკული ხასიათის პროექტების/ნაშრომების შედგენას; ზრუნავს საკუთარი და სხვების პროფესიულ განვითარებაზე, ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის პრინციპებით, კორპორაციული ეთიკური ნორმებისა და პასუხისმგებლობის დაცვით.

,,სეუ-ს საგანამანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირებისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტით მოითხოვება, რომ ,,სწავლის შედეგი არ უნდა იყოს წარმოდგენილი ერთი დიდი აბზაცის სახით, რომელიც აერთიანებს რამდენიმე სწავლის შედეგს. შედეგები ჩამოყალიბებული უნდა იყოს მოკლედ, მარტივ და გასაგებ ენაზე. სასურველია, რომ ერთი სწავლის შედეგი ერთი წინადადებით იყოს დაწერილი და მასში ერთი ან მაქსიმუმ ორი ზმნა იყოს გამოყენებული“ (გვ.5). აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია პროგრამის შედეგების ფორმულირების დახვეწა მეთოდოლოგიის მოთხოვნების გათვალისწინებით.

საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში ჩართულობა დაადასტურეს დაინტერესებულმა მხარეებმა: ადმინისტრაციამ, აკადემიურმა პერსონალმა, მოწვეულმა პერსონალმა, სტუდენტებმა, კურსდამთავრებულებმა და დამსაქმებლებმა. დაწესებულების წარმომადგენლების მიერ მათთვის გაცნობილი იქნა სწავლის შედეგები.

პროგრამის შედეგები შესაბამისობაშია კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროების მოთხოვნებთან, სადაც საქმიანობის სფეროსთვის დამახასიათებელი შემეცნებითი და პრაქტიკული უნარები მოითხოვება რთული და გაუთვალისწინებელი პრობლემების გადასაჭრელად. აღსანიშნავია, რომ პროგრამის შედეგების განსაზღვრისთვის უნივერსიტეტმა შრომის და განათლების ბაზრების სპეციალური კვლევები ჩაატარა და კვლევის შედეგები გამოყენებულ იქნა პროგრამის შედეგების განახლებისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამაში წარმოდგენილია პროგრამის მიზნების სწავლის შედეგებთან შესაბამისობა. ასევე, პროგრამის სასწავლო კურსების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუკა, სადაც დაცულია პროგრამის სასწავლო კურსების თანმიმდევრულობა შედეგების გაცნობის, გაღრმავების და განმტკიცების საფუძველზე.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება რეგულირდება ,,სეუ-ს საგანამანათლებლო

პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირებისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტით. ამ დოკუმენტის მიხედვით განისაზღვრება სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები. საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისთვის უნდა დადგინდეს სამიზნე ნიშნული, ასევე, ამ სამიზნე ნიშნულების შეფასების მეთოდები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი აღწერილი უნდა იყოს სწავლის შეფასების გეგმაში, სადაც მოცემულია ინფორმაცია ვინ, როდის და როგორ აფასებს სწავლის შედეგს სტუდენტების განსაზღვრული რაოდენობისთვის. თუ პროგრამის დასრულების შემდეგ სწავლის შედეგების შეფასების დონე სამიზნე ნიშნულებთან თანხვედრაშია, ეს აჩვენებს, რომ პროგრამის მიზნები მიღწეულია. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობა განისაზღვრება პროგრამის ხანგრძლივობით. პროგრამის სწავლის შედეგები ფასდება იმ კომპონენტებში, რომლებშიც კურიკულუმის რუკის მიხედვით ხდება პროგრამის სწავლის შედეგების განმტკიცება; პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება შესაძლებელია გამოცდის შედეგებით, პორტფელიოთი, შემაჯამებელი სასწავლო კურსით, პრაქტიკის შეფასებით. ასევე, დასაქმების მაჩვენებლით, გამოკითხვის შედეგებით და ა.შ. შედეგების შეფასების ანალიზი, მიღებული შედეგების სამიზნე ნიშნულებთან დადარება გამოყენებულია პროგრამის გაუმჯობესებისთვის, საჭიროების შემთხვევაში პროგრამის მიზნების/ შინაარსის/სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მოდიფიცირებისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირებისა და შეფასების მეთოდოლოგია“ https://www.seu.edu.ge/ka/554/; ○ ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან; ○ ინტერვიუ დამსაქმებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან; ○ თვითშეფასების კითხვარი.
რეკომენდაციები: ○ მიზანშეწონილია პროგრამის შედეგების ფორმულირების დახვეწა „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირებისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ მოთხოვნების გათვალისწინებით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):
შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დაზუსტდა, რომ საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტს განსაზღვრული აქვს ტურიზმის საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების შესაბამისი წინაპირობები, აღნიშულთან დაკავშირებული პროცედურები კი საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისთვის, ამავდროულად იგი შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას,

აღნიშნულია პროგრამაში, გაწერილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში და განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ინტერვიუს შედეგები; ○ ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა; ○ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი; ○ სეუ-ს ვებ-გვერდი.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია, სასწავლო გეგმაში ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი სასწავლო კურსები (სავალდებულო) და თავისუფალი კომპონენტები სემესტრების მიხედვით იერარქიული საფეხურების გათვალისწინებით არის წარმოდგენილი, პროგრამაში ასევე, გათვალისწინებულია სამი ტიპის პრაქტიკა: 1. ტურისტული კომპანია, 2. სასტუმრო და 3. საველე პრაქტიკა, პრაქტიკის კომპონენტის უზრუნველყოფა სავალდებულო კომპონენტია, თუმცა, 3 ტიპის შეთავაზებიდან სტუდენტს აქვს შესაძლებლობა აირჩიოს პრაქტიკის მიმართულება საკუთარი

ინტერესების შესაბამისად. სტუდენტის სურვილის მხარდაჭერა გამოიხატება ასევე თავისუფალი კრედიტების შეთავაზებით, თავისუფალი კრედიტების ფარგლებში სტუდენტს შეუძლია აირჩიოს მისთვის სასურველი სასწავლო კურსები უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამებიდან თითოეული სასწავლო კურსისათვის განსაზღვრული წინაპირობების დაცვით, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტს განივითაროს ტრანსფერული უნარები, გაიფართოოს თვალსაწიერი, ჩამოუყალიბდეს თავისუფალი აზროვნება და მოახდინოს ინტერესების რეალიზება. როგორც ინტერვიუს პროცესში პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, დამსაქმებლებთან და აკადემიურ პერსონალთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ პროგრამის შემუშავებისას აბსოლუტურად გათვალისწინებული იყო შრომის ბაზრის მოთხოვნები, აქცენტი გაკეთებულია უცხო ენის კომპონენტის გაძლიერებაზე; გარდა ზოგადი ინგლისურისა, დამატებულია დარგობრივი ინგლისურის (ინგლისური ტურიზმისთვის) კომპონენტი, ასევე ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის გათვალისწინებით პროგრამაში წარმოდგენილია სასწავლო კურსები უცხო ენებზე, როგორიცაა: The Touristic-Recreational Resources of Georgia, Hotelmanagement, Gesundheitstourismus, Kulturtourismus, Kunst der Gästeführung, Touristische Ressourcen von Georgien. ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა შემუშავებულია საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, გადასინჯვისა და შეწყვეტის პროცედურების შესაბამისად. პროგრამა შედგენილია ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის ჩართულობით. მისანიჭებელი კვალიფიკაცია „ტურიზმის ბაკალავრი“ შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმის სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებთან მიმართებით დაცულია სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა, თუმცა სასურველია, გადაისინჯოს დაშვების წინაპირობები სპეციალობის არჩევით შემდეგ სასწავლო კურსებზე: ტურისტული დესტინაციის მენეჯმენტი, ტურიზმის სამართლებრივი რეგულირება, ღონისძიებათა მენეჯმენტი და შეთავაზებული სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები, როგორებიცაა: ტურიზმის სამართლებრივი რეგულირება, ტურიზმის სტატისტიკა, გეო-ინფორმაციული ტექნოლოგიები ტურიზმში, ღონისძიებების მენეჯმენტი წარმოდგენილი იყოს როგორც სავალდებულო და არა არჩევითი კომპონენტი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა, სილაბუსები;
- სეუ-ს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, გადასინჯვისა და შეწყვეტის პროცედურები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები

- რეკომენდებულია, გადაისინჯოს/გადამოწმდეს სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები შემდეგ სასწავლო კურსებზე - ტურისტული დესტინაციის მენეჯმენტი, ტურიზმის სამართლებრივი რეგულირება, ღონისძიებათა მენეჯმენტი;
- რეკომენდებულია სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების ბლოკიდან:

ტურიზმის სამართლებრივი რეგულირება, ტურიზმის სტატისტიკა, გეო-ინფორმაციული ტექნოლოგიები ტურიზმში, ღონისძიებების მენეჯმენტი - წარმოდგენილი იყოს, როგორც სავალდებულო და არა არჩევითი კომპონენტი.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმის ფარგლებში უნივერსიტეტის მიერ ადგილზე პრაქტიკის კომპონენტების (პრაქტიკა ტურისტულ სააგენტოში) გავლა არის სათანადოდ უზრუნველყოფილი. მოწყობილია სიმულაციური სივრცეები: ტურისტული სააგენტო (აღმოაჩინე საქართველო) და საველე პრაქტიკისთვის (30 სტუდენტისთვის) გათვლილია შესაბამისი აღჭურვილობა.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა აგებულია ტურიზმის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი (უმაღლესი განათლების I და II საფეხურები ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI და VII დონეები) დოკუმენტის მოთხოვნების შესაბამისად, სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას გამოყენებულია ბლუმის ტაქსონომია, სასწავლო კურსების შინაარსი და კრედიტების

რაოდენობა შეესაბამება სასწავლო კურსების სწავლის შედეგებს. სასწავლო კურსების შინაარსი ეყრდნობა თანამედროვე ქართულ და უცხოენოვან ლიტერატურას, ქართველი ავტორების ან ქართულად ნათარგმნი უცხოური წიგნების სიმწირიდან გამომდინარე სასწავლო კურსების ავტორების მიერ მომზადებულია ქართულენოვანი მასალები (რიდერები) დარგში არსებული მოთხოვნებისა და გამოწვევების გათვალისწინებით. სახელმძღვანელოები (რიდერები) ატვირთულია წიგნად ფონდში და ელექტრონულ მატარებელზე და ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და აკადემიური/მოწვეული პერსონალისათვის. სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას. თითოეული სასწავლო კურსის კრედიტის მოცულობა, მათ შორის საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა განისაზღვრა სასწავლო კურსის სწავლის შედეგებიდან გამომდინარე. თუმცა, სასურველია სასწავლო კურსის სილაბუსში ძირითადი ლიტერატურის ნაწილში მიეთითოს ზოგადად რა მოცულობის მასალის ათვისება უხდება სტუდენტს, რათა განვსაზღვროთ, შესაძლებელია თუ არა სასწავლო კურსზე მინიჭებული კრედიტის ფარგლებში სტუდენტის მიერ დასამუშავებელი/გასაცნობი დავალების წარმატებულად შესრულება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა; ○ ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის სილაბუსები ; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია, ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში ძირითად ლიტერატურას მიეთითოს გვერდების სრული რაოდენობა, აკადემიური წერის პრინციპების დაცვით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურის სპეციალობის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები თავისი შინაარსით, მიზნებითა და შედეგებით უზრუნველყოფენ სტუდენტს დარგის შესაბამისი თეორიული ცოდნით (საკუთარი ქვეყნის გეოგრაფიის, ისტორიის, კულტურის ცოდნა, დარგის სპეციფიკის გათვალისწინება), თეორიულ ცოდნასთან ერთად სტუდენტს აქვს შესაძლებლობა შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად გაიღრმავოს და განივითაროს ტრანსფერული უნარები: პრეზენტაციის ხელოვნება, ქართულ და უცხო ენებზე წერილობითი და ზეპირი კომუნიკაციის შესაძლებლობა. პრაქტიკული და ტრასფერული უნარების გამომუშავებაში სტუდენტს ეხმარება პროგრამის სტრუქტურის პრაქტიკის სავალდებულო და თავისუფალი/არჩევითი კრედიტების კომპონენტები. აკადემიური წერის, მენეჯმენტის საფუძვლების, მარკეტინგის საფუძვლების, ეკონომიკის პრინციპების, კვლევის მეთოდების სასწავლო კურსები სტუდენტს აძლევს საშუალებას განივითაროს კვლევისთვის საჭირო უნარები, იმუშაოს საბაკალავრო ნაშრომზე ან/და მიიღოს მონაწილეობა სტუდენტურ კონფერენციებში ან/და ტუტორთან ერთად ჩაერთოს კვლევითი პროექტის განხორციელებაში. საუნივერსიტეტო კონფერენციები სულ მცირე, სემესტრში ერთხელ იმართება, სადაც სტუდენტთა დიდი ნაწილი იღებს მონაწილეობას, რომელიც საშუალებას აძლევს სტუდენტებს წარმოადგინონ თავიანთი სამეცნიერო ნაშრომები. წინასწარ განსაზღვრული სტანდარტების დაკმაყოფილების შემთხვევაში სტატია განთავსდება სეუ-ს საკონფერენციო ნაშრომების კრებულში https://www.seu.edu.ge/ka/833/. ამრიგად, სტუდენტის პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურის მიხედვით მიიღწევა თეორიული ცოდნით, მრავალფეროვანი პრაქტიკით, კვლევითი პროექტების შეთავაზებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა; ○ ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის სილაბუსები; ○ ინტერვიუს შედეგები; ○ უნივერსიტეტის მატერილაურ-ტექნიკური ბაზა (სიმულაციური სივრცეები), ტურისტული სააგენტო ,,აღმოაჩინე საქართველო", სავალე პრაქტიკისთვის შესაბამისი აღჭურვილობა, წიგნადი ფონდი; ○ ტექნიკური აღჭურვილობა და სივრცე შშმ პირებისთვის.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- შშმ პირებისთვის ტექნიკური აღჭურვილობა, ადაპტირებული სივრცე და გარემო ,,გადაუდებელი პირველადი დახმარება" თეორიული და პრაქტიკული კურსის შესაძლებლობა (სასწავლო კურსი: ,,გიდის ხელოვნება"-ს ფარგლებში) - უნივერსიტეტის ბაზაზე მედიცინის ფაკულტეტის ,,პრაქტიკული სასწავლო ბაზა".

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აღწერა და შეფასება

ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები თუ აქტივობები არის მრავალფეროვანი და ითვალისწინებს სასწავლო კურსების სპეციფიკას, როგორიცაა: ლექცია, სემინარი, ინდივიდუალური მუშაობა, ჯგუფური მუშაობა, დისკუსია-დებატები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, შემთხვევის/სიტუაციის ანალიზი, როლური თამაში, გონებრივი იერიში, დემონსტრირება, სიმულაციები. თითოეული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის ფორმატი სხვადასხვაა, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე. ისინი შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფენ მათ მიღწევას. სასწავლო კურსებში სწავლა-სწავლების მეთოდები და აქტივობები მოქნილობით ხასიათდება, პროგრამის ფარგლებში საჭიროების შემთხვევაში მოქმედებს ე.წ. ინდივიდუალური პროგრამა, რომლის მიხედვითაც სწავლება-სწავლის მეთოდების/აქტივობების ადაპტირება ხდება სტუდენტის ინდივიდუალური მოთხოვნების თუ საჭიროებების გათვალისწინებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა;
- ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის სილბუსები;
- ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების მეთოდოლოგია;

○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტში, შეფასების სისტემა ხორციელდება უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესის შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად. შეფასების სისტემები მორგებულია სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს. საკმაოდ ორგანიზებულად არის წარმოდგენილი სილაბუსები, დეტალურად იკვეთება, თუ რა მიზანი აქვს კურსს, რა შედეგზე უნდა გავიდეს კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტი და რა კრიტერიუმებითა და ფორმებით ფასდება. გარდა თეორიული საგნებისა, პროგრამა ითვალისწინებს პრაქტიკულ კომპონენტსაც, ახალ პროგრამაში წარმოდგენილია 4 კომპონენტიანი პრაქტიკა. სტუდენტს აქვს პრაქტიკის დღიური, ჰყავს მენტორი, მენტორის ხელმოწერით მოაქვს უნივერსიტეტში დოკუმენტი და კომისიის წინაშე ხდება პრაქტიკის დღიურის დაცვა. პროგრამაში სავალდებულო კომპონენტია საბაკალავრო ნაშრომი, რომელიც ფასდება 100 ქულით: ხელმძღვანელის შეფასება 48 ქულა, რეცენზენტის შეფასება 22 ქულა, დაცვის კომისიის შეფასება 30 ქულა.

აღნიშნული შეფასების სისტემები ღიაა და გამჭირვალე ყველა სტუდენტისათვის. სტუდენტებს სასწავლო კურსის დაწყებამდე აქვთ წვდომა სილაბუსებთან, ეს ინფორმაცია განთავსებულია ელექტრონულ პორტალზე emis.seu.edu.ge. ვიზიტის დროს ექსპერტებს საშუალება გვქონდა უშუალოდ გვენახა თუ როგორ მუშაობს ონლაინ სივრცე, რომელიც ძალიან პრაქტიკული და მარტივი სისტემაა.

სტუდენტს შეუძლია წინასწარ გაეცნოს სასწავლო კურს, ასევე ლექციაზე ლექტორი აცნობს კურსის სილაბუსს.

ყველა სახის გამოცდა ტარდება უნივერსიტეტის კომპიუტერულ ცენტრში. გამოცდაზე რეგისტრაცია სტუდენტს შეუძლია კვირის განმავლობაში, მისთვის მოსახერხებელ დროს. უნივერსიტეტმა, უზრუნველყო სტუდენტებისათვის რეგიონულ ცენტრებში გამოცდების ჩატარება, რომელიც ხორციელდება საგამოცდო რეგულაციების სრული დაცვით.

იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტისათვის შეფასება საეჭვოა, მას აქვს შესაძლებლობა ნიშანი გაასაჩივროს. ნიშნის გასაჩივრების მექანიზმი აღწერილია სასწავლო პროცესის რეგულირების წესში.

აღნიშნული ფაქტები დაადასტურეს სტუდენტებმაც. აღსანიშნავია, რომ სტუდენტები საკმაოდ კარგად ერკვევიან ადმინისტრაციულ და საორგანიზაციო საკითხებში. მათ იციან თუ ვის უნდა მიმართონ სასწავლო კურსების, ან ნიშნის გასაჩივრების შემთხვევაში.

ექსპერტებს გვქონდა საშუალება შევხვედროდით აკადემიურ პერსონალს, რომლებიც არიან დარგის სპეციალისტები, საკმაოდ კარგად ხედავენ საკუთარი სილაბუსის სწავლის შედეგებს პროგრამასთან მიმართებაში. როგორც ინტერვიუებიდან გამოჩნდა, მათ დამოუკიდებლად აქვთ შედგენილი სილაბუსი, სწავლის შედეგებიდან გამომდინარე კი სწავლის შეფასების ფორმები. აღსანიშნავია, რომ მათ შეძლებისდაგვარად მოახდინეს სილაბუსების სწავლის შეფასების მორგება ონლაინ სწავლებასთან. გაზაფხულზე ჩატარდა ვორქშოფი სწავლა-სწავლების თემაზე, როგორ უნდა წარმართულიყო სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების პროცესი, რაც კიდევ უფრო დაეხმარა ლექტორებს სიღრმისეულად დაენახათ საკუთარი კურსის სპეციფიკა.

თვითშეფასების დოკუმენტიდან ირკვევა, რომ სტუდენტის სტატუს შეჩერებულთა და სტატუსშეწყვეტილთა რაოდენობა ძალიან მაღალია. შესაბამისად, დაბალია კურსდამთავრებულთა რაოდენობა. ექსპერტთა ჯგუფი ეცადა ვიზიტის პროცესში გამოეკვლია ამ მდგომარეობის მიზეზები. თუმცა აღმოჩნდა, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაციას სტუდენტებისთვის ცოდნის მისაღებად საუკეთესო პირობები აქვს შექმნილი. ვფიქრობთ, შესაძლებელია პროფილური კვლევა სტუდენტების სწავლის დემოტივაციასთან დაკავშირებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს სასწავლო პროცესის რეგულირების წესი;
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;

○ ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ○ სასწავლო პროგრამის სილაბუსები; ○ ინტერვიუები ლექტორებთან, სტუდენტებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, ფაკულტეტის დეკანთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: ○ სასურველია, ჩატარდეს პროფილური კვლევა სტუდენტების სწავლის დემოტივაციასთან დაკავშირებით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას,

ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტი სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის emis.seu.edu.ge მეშვეობით იღებს ინფორმაციას სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და მიმდინარეობაზე. სტუდენტებს სწავლის დაწყებამდე უტარდებათ კონსულტაციები, აქვთ შეხვედრები ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, თუ როგორ უნდა მართონ ელექტრონული სისტემა, რა პრინციპით უნდა აირჩიონ საგნები და ა.შ. ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილი იყო უშუალოდ ადგილზე უნივერსიტეტის მატერიალური და ტექნიკური ბაზის დათვალიერება. გვქონდა საშუალება გვენახა აღნიშნული ელექტრონული ბაზის მუშაობა, რაც ნამდვილად ძალიან პრაქტიკულია, სტუდენტს გარდა ინფორმაციის მიღებისა შეუძლია ყველა სასწავლო თუ არასასწავლო მიმართულება მართოს ელექტრონულად. მაგალითად: გაასაჩივროს ნიშანი, წარადგინოს სტუდენტის სტატუსის აღდგენის, შეჩერების, შეწყვეტის განაცხადი ელექტრონულად. სტუდენტებს ჰყავთ სტუდენტის ომბუდსმენი, რომელიც აცნობს სტუდენტების უფლებებს. შესაბამისად, მათთვის პირველივე დღეებიდან მარტივია ადაპტირება საუნივერსიტეტო გარემოსთან. ეს კარგად ჩანდა გასაუბრებების პროცესში, სტუდენტები ნამდვილად კარგად იცნობენ იმ მიმართულებებს, რაც უშუალოდ მათ სასწავლო პროცესთან მიმართებაშია საჭირო. სტუდენტები ყოველი სემესტრის ბოლოს აფასებენ როგორც ლექტორს, ისე სასწავლო კურსს და, ასევე, სასწავლო პროცესში სხვა დამატებით აქტივობებს. უნივერსიტეტმა დანერგა საკმაოდ კარგი პრაქტიკა, ატარებენ კონფერენციებს სტუდენტებისათვის, სადაც ხდება ინფორმაციის გაზიარება, რა ცვლილებები განხორციელდა პროგრამის ფარგლებში, რა სიახლეები იგეგმება, რა გაითვალისწინა ფაკულტეტმა სტუდენტებისაგან და ა.შ. გარდა სასწავლო პროცესისა, სტუდენტებს აქვთ საშუალება ჩაერთონ საერთაშორისო პროექტებში, გაცვლით პროგრამებში. როგორც ინტერვიუების დროს მათ აღნიშნეს, ძალიან ხშირად ხდება ინფორმაციის განთავსება საერთაშორისო გაცვლით პროექტებთან დაკავშირებით, მათი მეგობრები იყვნენ წასულები სხვადასხვა ევროპულ უნივერსიტეტებში, თუმცა უშუალოდ ინტერვიუს პროცესის მონაწილე სტუდენტებმა, პანდემიიდან გამომდინარე, ვერ მიიღეს მონაწილეობა. ეს ინფორმაციებიც მათ მიეწოდებათ, როგორც უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდიდან, ასევე ელექტრონული სისტემის მეშვეობით. აქვე არის დასაქმებასთან და სხვა შემეცნებით ღონისძიებებთან დაკავშირებული ინფორმაციაც. აღსანიშნავია უნივერსიტეტის მჭიდრო კავშირი დამსაქმებლებთან. ისინი საკმაოდ

აქტიურად თანამშრომლობენ უნივერსიტეტის სტუდენტებთან. როდესაც ექსპერტები ვიზიტის ფარგლებში ვიმყოფებოდით უნივერსიტეტში, გვქონდა საშუალება ერთ-ერთი დამსაქმებელი ორგანიზაციის წარმომადგენლებს შევხვედროდით, სადაც დაგვხდა უნივერსიტეტის სტუდენტი, უკვე დასაქმებული ამ კომპანიაში და სტაჟიორი სტუდენტი. ექსპერტები შევხდით კურსდამთავრებულებსაც, სადაც წარმოდგენილი ორი სტუდენტი უშუალოდ უნივერსიტეტის ხელშეწყობით დასაქმდა. საგანგებო მდგომარეობიდან გამომდინარე, უნივერსიტეტმა გააქტიურა საკონსულტაციო მომსახურება, პირად გვერდზე დაემატა ცხელი ზუმი, ცხელი ხაზი, ,,ჩათები.“ სტუდენტებს გაეზარდათ ლექტორების საკონსულტაციო საათები. პანდემიის დროს სასწავლო გადასახადის დავალიანებები გაუუქმდათ ასობით სტუდენტს, უნივერსიტეტმა მათ აჩუქა ლეპტობები/ კომპიუტერები და შეუძინა ინტერნეტ-პაკეტები. უნივერსიტეტს აქვს ნამდვილად გამორჩეული ინფრასტრუქტურა, აღჭურვილია უახლესი ტექნიკით. ასევე ვიზიტის დროს ვნახეთ ტურიზმის ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია საველე პრაქტიკისთვის სრული მოწყობილობით. უნივერსიტეტი გაცვლით პროგრამებში პრაქტიკას სთავაზობს სტუდენტებს ბერლინსა და ბრაიდენბურგში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში, ტურიზმი, პირველი საფეხური, ბაკალავრიატი; ○ ინტერვიუები ლექტორებთა, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან, ფაკულტეტის წარმომადგენლებთან; ○ ხელშეკრულებები დამსაქმებლებთან; ○ სტუდენტთა კმაყოფილების ინსტიტუციონალური შეფასება.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ უნივერსიტეტმა დანერგა საკმაოდ კარგი პრაქტიკა, ატარებენ კონფერენციებს სტუდენტებისათვის, სადაც ხდება ინფორმაციის გაზიარება, რა ცვლილებები განხორციელდა პროგრამის ფარგლებში, რა სიახლეები იგეგმება, რა გაითვალისწინა ფაკულტეტმა სტუდენტებისაგან და ა.შ.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
მტკიცებულებები/ინდიკატორები:
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ტურიზმის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელ კომპეტენციებს, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან ფუნქციონირებასა და მიზნების მიღწევას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო პროცესში ჩართულია 49 პერსონალი. მათგან 23 აკადემიური პერსონალი: 6 პროფესორი, 15 ასოცირებული პროფესორი და 2 ასისტენტი; 24 მოწვეული ლექტორი; პროგრამაში ჩართულია ასევე 2 უცხოელი პერსონალი. პროგრამის სასწავლო პროცესში ჩართული 49 პერსონალიდან მხოლოდ 17-ია აფილირებული უნივერსიტეტთან, შესაბამისად, რეკომენდებულია, აფლირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობის ზრდა, რაც შესაბამისად გამოიწვევს კვლევით კომპონენტში აკადემიური პერსონალის ჩართულობის გაზრდას. აქვე აღვნიშნავთ, რომ დაწესებულებას გათვითცნობიერებული აქვს აღნიშნული პრობლემა (მოცემულია გასაუმჯობესებელ მხარეებში). ვიზიტის დროს აღინიშნა, რომ აფილირებული პერსონალის რაოდენობა დინამიკაში ზრდადია. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს დოკუმენტი აკადემიური პერსონალის შერჩევის, დანიშვნის და მათი აკადემიური განვითარების შესახებ, რომელიც გამჭვირვალობის და სამართლიანობის პრინციპებზეა დაფუძნებული. უნივერსიტეტში დანერგილია აკადემიური და მოწვეული პერსონალის მრავალკომპონენტიანი შეფასების სისტემა, რომლის შედეგები გამოიყენება პერსონალის

განვითარების, წახალისების ან შეცვლის თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად. შეფასების სისტემა გულისხმობს, როგორც პერსონალის კვალიფიკაციისა და გამოცდილების, ასევე კვლევითი აქტივობის, პროგრამის განვითარებაში ჩართულობის, პროფესიული განვითარებისა და სტუდენტთა კმაყოფილების მაჩვენებლების ურთიერთშეჯერებას. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს პროგრამის განმახორციელებელი პირების დატვირთვის შედგენის მეთოდოლოგია და პროცედურები, რომლებიც ითვალისწინებს მათ დატვირთვას და ვალდებულებებს. პროგრამის ხელმძღვანელს პროგრამის შემუშავებისათვის გააჩნია კვალიფიციური ცოდნა და გამოცდილება. ხელმძღვანელი უზრუნველყოფს პროგრამის განვითარებას, მონაწილეობს პოტენციური სტუდენტების მოზიდვის აქტივობებში, ახორციელებს ინფორმაციის გაცვლას ფაკულტეტთან, სტუდენტებთან, თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, მონაწილეობს პროგრამის შეფასებაში და მიღებული უკუკავშირის საფუძველზე ახორციელებს ცვლილებებს ფაკულტეტთან თანამშრომლობით. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტების მომსახურებას საჭირო რაოდენობისა და კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მათ მიერ განსახორციელებელ ფუნქციებს. აკადემიური პერსონალი სწავლების გარდა ჩართულია სტუდენტების კონსულტირების და პროგრამის განვითარების პროცესებში, საკონსულტაციო საათებზე ინფორმაცია მითითებულია სასწავლო კურსების სილაბუსებში. უნივერსიტეტში არსებულ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში ჩაშენებულია მოდული პერსონალის შესახებ, რაც ხელს უწობს ადამიანურ რესურსებზე ინფორმაციის დამუშავებას, სხვადასხვა სახის საშედეგო ინფორმაციის/რეპორტების მიღებას, თუმცა პროგრამაში ჩართულ ზოგიერთ პერსონალზე CV-ში მოცემული ინფორმაცია გადასამუშავებელია (შესაბამის პუნქტებში სწორად არ არის ასახული) და გასაახლებელია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა; ○ ტურიზმის საბაკალავრი პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა; ○ პროგრამაში ჩართული პერსონალის CV და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; ○ პროგრამის ხელმძღვანელის და ადმინისტრაციული პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები; ○ „სეუ-ს აკადემიური კონკურსების ჩატარებისა და აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი“- N455 27.11.2017 (ცვლილება N038, 01.02.2021); ○ „სეუ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა“ - N487, 01.09.2020; ○ „სეუ-ს პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების წესები (აკადემიური პერსონალისათვის)“ №854, 20.12.2020 ბრძანება; ○ „აკადემიური პერსონალის მიერ აკადემიური წლის განმავლობაში შესასრულებელი

სამუშაოსა და შესაბამისი აქტივობების მიხედვით დაგროვებული ქულების ოდენობების შესახებ“ რექტორის N421, 24.07.2020 ბრძანება; ○ პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობა; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: ○ რეკომენდებულია აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობის ზრდა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია გადამუშავდეს და განახლდეს პროგრამაში ჩართულ ზოგიერთ პერსონალზე CV-ში მოცემული ინფორმაცია; ○ სასურველია, აკადემიური პერსონალის მაღალრეიტინგულ ჟურნალებში გამოქვეყნების მაჩვენებლების გაზრდა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პროგრამის ფარგლებში ჩართული ორი უცხოელი პერსონალი.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

უნივერსიტეტი ცდილობს შექმნას ისეთი გარემო, რომელშიც პერსონალი შეძლებს გამოავლინოს თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმი კვლევისა თუ სწავლების პროცესში.

პერსონალის შეფასების პროცესის სრულყოფისათვის უნივერსიტეტში დანერგილია აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასების მართვის ელექტრონული სისტემა. პერსონალის შეფასება ხდება ყოველსემესტრულად. სემესტრის დასაწყისში მოლოდინები და შეფასების კრიტერიუმები მუშავდება და ეგზავნება ყველა აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს. პროგრამის ხელმძღვანელი მართავს შეხვედრას პერსონალთან, შეფასების პროცედურებთან დაკავშირებით და მოლოდინების გასარკვევად. თითოეულ აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს აქვს ინფორმაცია საკუთარი პერსონალური განვითარების გეგმის შესახებ და იმის შესახებ, თუ რომელ სფეროებს დაეთმობა განსაკუთრებული ყურადღება წინა წლის შედეგების გათვალისწინებით.

თითოეული აკადემიური/მოწვეული პერსონალისთვის, საჭიროების შემთხვევაში, იქმნება პერსონალური გაუმჯობესების გეგმა. ამ გეგმას ერთობლივად შეიმუშავებენ აკადემიური პერსონალი და პროგრამის ხელმძღვანელი. პერსონალური განვითარების გეგმა შეიძლება შეიცავდეს პროფესიული განვითარებისთვის საჭირო აქტივობებს, რომელთა შესრულებაც შეუძლია თავად დასაქმებულს და ამ პროცესის გასახორციელებლად შესაძლოა საჭირო გახდეს მიზნობრივ დამატებით აქტივობებში ჩართულობა. პერსონალურ განვითარების გეგმას განიხილავს და ამტკიცებს ხარისხის განვითარების დეპარტამენტი. ცვლილებების განხორციელების საჭიროების შემთხვევაში ტარდება ერთობლივი შეხვედრა ხარისხის განვითარების დეპარტამენტს, პროგრამის ხელმძღვანელსა და აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს შორის.

წარმოდგენილი მასალებიდან ჩანს, რომ აკადემიურ, მოწვეულ და ადმინისტრაციულ პერსონალს აქტიურად უტარდებოდათ მრავალფეროვანი ტრენინგები აკრედიტაცია/ავტორიზაციის სტანდარტების, სწავლება-სწავლის მეთოდების, შეფასების სისტემის, სწავლის შედეგების გაწერის და სხვა მნიშვნელოვან აქტუალურ საკითხებზე, რომლებიც ემსახურება მათი პროფესიული და სწავლების უნარის განვითარებას. შეთავაზებულია უცხო ენების უფასო კურსები აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის.

სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას უნივერსიტეტში კოორდინაციას უწევს ვიცე-რექტორი სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით. აკადემიური/მოწვეული პერსონალის კვლევითი საქმიანობის წახალისების მიზნით უნივერსიტეტში მოქმედებს შიდა საგრანტო სისტემა, რომელიც საშუალებას აძლევს პერსონალს მიიღონ დაფინანსება სხვადასხვა სამეცნიერო კვლევითი პროექტებისთვის. კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით უნივერსიტეტი ატარებს ბიანუალურ სამეცნიერო რეფერირებად კონფერენციას, გამოიცემა საკონფერენციო მასალების კრებული, ჟურნალი “SEU & Science”. ასევე საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტში დაინერგა სამეცნიერო ჟურნალი „სოციალურ მეცნიერებათა ვექტორები“, რომელიც წარმოადგენს პერიოდულ საერთაშორისო რეფერირებად და რეცენზირებად გამოცემას, რომელიც მიზნად ისახავს აკადემიური დისკუსიის გაღრმავების ხელშეწყობას. ჟურნალს აქვს საერთაშორისო სტანდარტული სერიული ნომერი ელექტრონული (E-ISSN) და ბეჭდვითი სახით (ISSN) პერიოდული გამოცემებისთვის. ჟურნალში განთავსებულ თითოეულ ნაშრომს იდენტიფიცირებისთვის

მიენიჭება უნიკალური კოდი DOI. ჟურნალი გამოიცემა წელიწადში ორჯერ, ქართულ და ინგლისურ ენებზე. ამასთან, დაწესებულებაში დაინერგა წახალისების სისტემა - თითოეული აფილირებული პროფესორისთვის 2000 ლარი - სასწავლო და სამეცნიერო/კვლევითი აქტივობების შესაბამისი ქულების გადაჭარბებით დაგროვების შემთხვევაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სეუ-ს პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების წესები (აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის); ○ აკადემიური მოწვეული პერსონალის განვითარება; ○ სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის ხელშემწყობი მექანიზმები; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ შეთავაზებულია უცხო ენების უფასო კურსები აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის.
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება თანამედროვე ინფრასტრუქტურით აღჭურვილ კამპუსში, უზრუნველყოფილია საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსებით,

რომელიც რაოდენობრივად და ხარისხობრივად უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. ყველა აუდიტორია აღჭურვილია სასწავლო პროცესის განხორციელებისათვის საჭირო თანამედროვე ინვენტარით. სტუდენტები ინფორმირებულები არიან არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობის და მოხმარების წესების შესახებ. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ტურისტული ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ტურისტული, ტექნიკური ინვენტარით და უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში განთავსებულია ტურიზმის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებით განსაზღვრული ყველა სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა (მათ შორის ელექტრონულ მატარებლებზე არსებული), რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. უნივერსიტეეტს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ა(ა)იპ საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციასთან საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზების მომსახურებაზე. სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები, რომლებიც საშუალებას აძლევს მათ გაეცნონ შესაბამისი მიმართულების/დარგის უახლეს სამეცნიერო მონაცემებს, კერძოდ: Cambridge Journals Online, e-Duke Journals Scholarly Collection, Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books, IMechE Journals, Royal Society Journals Collection, Openedition Journals, Scopus, Science Direct, ELSEVIER და ა.შ. პროგრამის განსახორციელებლად საჭირო შენობების სასწავლო/სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიებში უზრუნველყოფილია უსაფრთხოების დაცვა (ვენტილაცია, ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობები და სხვა), რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსი; ○ ინფრასტრუქტურის, ტექნიკური აღჭურვილობის, უსაფრთხოების დაცვის და წიგნადი ფონდის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი; ○ ა(ა)იპ საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციასთან გაფორმებული ხელშეკრულება; ○ უძრავი ქონების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ტურისტული ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ტურისტული, ტექნიკური ინვენტარით და უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის

შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება პროგრამის ბიუჯეტით. ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა მიმართულია პროგრამით გათვალისწინებული სტუდენტთა შემოქმედებით და სოციალურ აქტივობებზე, ინტერნაციონალიზაციაზე, სასწავლო რესურსებზე, აკადემიური/მოწვეული პერსონალის სახელფასო დანახარჯებზე. ბიუჯეტში ასევე გათვალისწინებულია აკადემიური პერსონალის განვითარების და კვლევითი აქტივობების ხარჯები, დანახარჯები სამეცნიერო ნაშრომების დასაბეჭდად, აკადემური/მოწვეული, ადმინისტრაციული პერსონალის სამეცნიერო მივლინებისა და სტუდენტთა გაცვლით პროგრამებში დაფინანსების, საერთაშორისო ტრენინგებისა და კონფერენციებში მონაწილეობისათვის და სხვ. ვიზიტზე აღინიშნა, რომ შესაძლებელია დამატებითი დაფინანსების მოთხოვნა ფინანსური კომიტეტის, რექტორის საბჭოს მხრიდან. ასევე შექმნილია „ინსტიტუციური მხარდაჭერის“ კვლევითი საუნივერსიტეტო ფონდი, საიდანაც კვლევითი მიმართულებით ხდება დაფინანსება, გაიცემა შიდა კვლევით გრანტები, დამატებით ფინანსდება საერთაშორისო გამოცემები, ნაშრომების თარგმნის და კორექტირების ხარჯები და ა.შ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა; ○ პროგრამის ბიუჯეტი; ○ ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში განხორციელებული სააკრედიტაციო ვიზიტის დროს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტებისა და აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუების, ასევე ვიზიტის დროს ექსპერტთა მოთხოვნის საფუძველზე, დაწესებულების მიერ დამატებით წარმოდგენილ დოკუმენტებზე დაყრდნობით, განხორციელდა დაწესებულებაში არსებული ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების შეფასება სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ პროგრამასთან მიმართებით.

უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის, განვითარებისა და მონიტორინგის პროცესების კოორდინირებაზე პასუხისმგებელია ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი, რომელიც თავის საქმიანობას ახორციელებს „ხარისხის გაუმჯობესებისა და განვითარების პოლიტიკისა“ და „ხარისხის უზრუნველყოფის ძირითადი შედეგების გავრცელების შესახებ პოლიტიკის“, ასევე აღნიშნული შიდა აქტების საფუძველზე შემუშავებული სხვა რეგულაციებით. მითითებული აქტებით განსაზღვრულია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მიზნები, ამოცანები, ძირითადი პრინციპები და მექანიზმები, რომლებიც აყალიბებს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემას, ასევე ადგენს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის შედეგები ვრცელდება საგანმანათლებლო პროგრამის, ამ პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსებისა და მთლიანად უნივერსიტეტის საქმიანობის შეფასების პროცესებზე. აღნიშნული აქტებით დადგენილია, რომ „სეუ რეგულარულად ახორციელებს თვითშეფასების სამ მნიშვნელოვან პროცესს: სასწავლო კურსების, საგანმანათლებლო პროგრამებისა და უნივერსიტეტის თვითშეფასებას. ეს პოლიტიკა მიჰყვება ამ ხაზს და ამით პასუხობს საკომუნიკაციო პრაქტიკას ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებთან დაკავშირებით, სასწავლო კურსის, საგანმანათლებლო პროგრამისა და უნივერსიტეტის დონეზე. იგი განსაზღვრავს საქმიანობას, პასუხისმგებელ პირებს, ვადებსა და სამიზნე აუდიტორიას“. შესაბამისად, ხარისხის განვითარების დეპარტამენტი ატარებს შემდეგ გამოკითხვებს:

- სასწავლო კურსების შეფასება სტუდენტების მიერ (სემესტრში ერთხელ);
- საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება სტუდენტების მიერ (ბოლო წელს);
- დაწესებულების შეფასება სტუდენტების მიერ (წელიწადში ერთხელ);
- პრაქტიკის შეფასება სტუდენტების მიერ (პრაქტიკის დასრულებისას);
- სწავლების პრაქტიკის შეფასება პედაგოგების მიერ (ყოველ ორ წელიწადში ერთხელ);
- გამოკითხვა პერსონალის კმაყოფილების თაობაზე (წელიწადში ერთხელ);
- გამოკითხვა კურსდამთავრებულთა კმაყოფილების თაობაზე (წელიწადში ერთხელ);
- გამოკითხვა დამსაქმებელთა კმაყოფილების თაობაზე (წელიწადში ერთხელ).

უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალი აქტიურადაა ჩართული ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში და მჭიდროდ თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, რაც დაადასტურა აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში, შესაბამის ფოკუსჯგუფებთან განხორციელებულმა ინტერვიუებმა. თითოეული სასწავლო კურსის განმახორციელებელი პირი ასევე პასუხისმგებელია აღნიშნული სასწავლო კურსის ხარისხის განვითარებისათვის. სასწავლო კურსები და ლექტორების საქმიანობა ფასდება როგორც სტუდენტების, ისე თავად ლექტორების მიერ. ისინი ამზადებენ თვითშეფასების

დოკუმენტს, სადაც აღწერენ სასწავლო სემესტრის განმავლობაში, კურსის წაკითხვისას გამოვლენილ ძლიერ და სუსტ მხარეებს. აღნიშნული თვითშეფასება წარედგინება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასებას კი ორ წელიწადში ერთხელ ახორციელებს პროგრამის ხელმძღვანელი. გარდა აღნიშნულისა, სასწავლო კურსები, ყოველი სემესტრის ბოლოს, სპეციალური კითხვარების მეშვეობით, ფასდება სტუდენტების მიერ.

როგორც ინტერვიუს პროცესში პერსონალისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებმა განაცხადეს, სასწავლო კურსების თვითშეფასების პროცედურა უნივერსიტეტში დაინერგა და წარმატებით მიმდინარეობს უკვე მესამე სემესტრია. ამ პროცესის წარმატება კი განაპირობა იმან, რომ აკადემიური პერსონალი დადებითად შეხვდა ხარისხის უზრუნველყოფის ამ მექანიზმს. მათი განცხადებით, შეფასების ამ ფორმამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მათი საქმიანობა, რადგან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და ადმინისტრაციისაგან, თვითშეფასების შედეგების გათვალისწინებით, მუდმივად იღებენ უკუკავშირს. ამასთან, როგორც ინტერვიუს დროს გაირკვა, დაწესებულებაში დანერგილია პრაქტიკა, რომლის თანახმადაც, პროგრამის განმახორციელებელი პირები, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად წელიწადში ერთხელ იკრიბებიან და მართავენ შიდა კონფერენციას, სადაც განიხილება საგანმანათლებლო პროგრამისა და სასწავლო კურსების შეფასების შედეგები, მათ შორის, ლექტორთა მიერ განხორციელებული თვითშეფასების დოკუმენტები. აკადემიური პერსონალის განცხადებით, შედეგების განხილვის აღნიშნული გზა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ვინაიდან მათ საშუალება აქვთ, ერთმანეთს გაუზიარონ საკუთარი მიგნებები, იმსჯელონ თითოეულ სასწავლო კომპონენტში გამოვლენილი სისუსტეების აღმოფხვრის გზებზე, რაც მთლიანობაში განაპირობებს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების წარმატებას. ამასთან, იგეგმება, რომ აღნიშნულ კონფერენციას მიეცეს ყოველსემესტრული სახე.

უნივერსიტეტს ასევე შემუშავებული აქვს „კონცეფცია სტუდენტების უკუკავშირის შესახებ“, რომლის თანახმად, „დოკუმენტის მთავარი მიზანია, თანამშრომლებმა და სტუდენტებმა სეუ-ს მასშტაბით გააცნობიერონ უკუკავშირის მნიშვნელობა, მახასიათებლები, რომლებიც უკავშირდება შეფასებას, რაც სტუდენტებს სჭირდებათ თავიანთი სასწავლო პროცესის გასაღრმავებლად“.

აკადემიური და მოწვეული პერსონალი, მათთვის გაზიარებული შეფასების შედეგებს იყენებს საკუთარი საქმიანობის გასაუმჯობესებლად, რისთვისაც იღებს უკუკავშირს როგორც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, ისე პროგრამის ხელმძღვანელებისაგან. ხარისხის უზრუნველყოფის განხორციელებისათვის საჭირო შიდა რეგულაციები განთავსებულია დაწესებულების ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის. საჯაროდ არის განთავსებული ასევე დადგენილი პერიოდულობით განხორციელებული თვითშეფასების შედეგები.

პანდემიის ვითარების გათვალისწინებით, საგანმანათლებლო საქმიანობის ონლაინ-რეჟიმში გადასვლასთან დაკავშირებით, დაწესებულებას შემუშავებული აქვს „ელექტრონული სწავლების განხორციელების წესი“. ამასთან, არა მხოლოდ სწავლების პროცესი, საუნივერსიტეტი საქმიანობის, მათ შორის, ხარისხის უზრუნველყოფის მიზნებისათვის, მთელი რიგი პროცესები გაელექტრონულდა, რამაც მუშაობის პროცესი

გაცილებით უფრო მარტივი და ეფექტური გახადა და დაწესებულების წარმომადგენელთა განცხადებით, პანდემიის დასრულების შემდეგაც ეს პროცესები დარჩება ელექტრონულ რეჟიმში (მაგალითად, გამოკითხვების განხორციელება, საქმისწარმოების პროცესი, სტუდენტთა მიმართვიანობის პროცესი და ა.შ.). აქვე აღსანიშნავია, რომ ხარისხის განვითარების დეპარტამენტში ცალკეა გამოყოფილი ანალიზის სამსახური, რომლის მთელი რიგი ფუნქციები დადგენილია უნივერსიტეტის დებულებით, მათ შორის, განსაზღვრულია, რომ აღნიშნული სამსახური აწარმოებს ხარისხის უზრუნველყოფის კვლევასთან დაკავშირებული კითხვარების დიზაინის ფორმირებას და გამოკითხვების ჩატარებას; სტუდენტებთან, პერსონალთან, საგანმანათლებლო პროგრამებთან და სასწავლო კურსებთან დაკავშირებული მონაცემებისა და სტატისტიკის ანალიზს; გამოკითხვების, შეფასებისა და თვითშეფასების შედეგების დამუშავებას, შედარებითი ანალიზის ჩატარებას, მათ შორის, ფაკულტეტებისა და პროგრამების მონაცემთა შედარებითი ანალიზს; აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასებების/თვითშეფასების მონაცემებისა და შედეგების შეჯამებასა და ანალიზს; აკადემიური/მოწვეული პერსონალის დახმარებას თვითშეფასების მეთოდოლოგიის შემუშავებაში; შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების კვლევასა და ანალიზს; უნივერსიტეტის მოთხოვნებსა და საჭიროებებზე მორგებული კვლევის ორგანიზებასა და განხორციელებას, მონაცემთა ანალიზს. როგორც დაწესებულების მიერ თვითშეფასებაზე თანდართული დოკუმენტები, ასევე ინტერვიუს შედეგები ცხადყოფს, აღნიშნული სამსახურის ფუნქციონირებას მნიშვნელოვანი დადებითი შედეგები აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მიზნებისათვის, რასაც მოწმობს პროგრამის ფუნქციონირებისათვის, მისი ხარისხის გაუმჯობესების მიზნებისათვის განხორციელებული კვლევების ხარისხი. ანალიტიკის ფუნქცია და მისი ამგვარი გაძლიერება მნიშვნელოვანია PDCA ციკლის, რაც საფუძვლად უდევს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესს, პრინციპების სწორად განხორციელებისათვის, ვინაიდან შემოწმებისა (check) და რეაგირების (act) ეტაპებზე განსახორციელებელი ღონისძიებების ეფექტურობას ჩატარებული გამოკითხვებისა და კვლევების სწორი ანალიზი განსაზღვრავს, რაც თავის მხრივ, საფუძველია საქმიანობის სწორი დაგეგმვისა (Plan) და განხორციელების (Do).
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების განაცხადი; ○ „ხარისხის გაუმჯობესებისა და განვითარების პოლიტიკა“; ○ „ხარისხის უზრუნველყოფის ძირითადი შედეგების გავრცელების პოლიტიკა“; ○ სეუ-ს დებულება; ○ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელებული კვლევების შედეგები; ○ სასწავლო კურსის თვითშეფასების ინსტრუქცია; ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ინსტრუქცია; ○ კონცეფცია სტუდენტთა უკუკავშირის შესახებ; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- ხარისხის განვითარების დეპარტამენტში შემავალი ანალიზის სამსახური, რომელსაც დებულების თანახმად, ევალება უნივერსიტეტის საქმიანობის, პროგრამების განხორციელებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მიზნებისათვის გამოკითხვების, შეფასებებისა და კვლევების განხორციელება და მიღებული შედეგების ანალიზი. ანალიტიკის ფუნქციის გაძლიერება, ცალკე გამოყოფილი სტრუქტურული ერთეულის ფორმით, მნიშვნელოვანია PDCA ციკლის, რაც საფუძვლად უდევს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესს, პრინციპების სწორად განხორციელებისათვის, ვინაიდან შემოწმებისა (check) და რეაგირების (act) ეტაპებზე განსახორციელებელი ღონისძიებების ეფექტურობას ჩატარებული გამოკითხვებისა და კვლევების სწორი ანალიზი განსაზღვრავს, რაც თავის მხრივ, საფუძველია საქმიანობის სწორი დაგეგმვისა (Plan) და განხორციელების (Do).
- უნივერსიტეტში დანერგილია პრაქტიკა ლექტორთა თვითშეფასების განხორციელების თაობაზე.
- ტარდება შიდასაუნივერსიტეტო კონფერენციები შეფასებისა და კვლევების შედეგების განხილვის მიზნით.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 19 მარტის N38 გადაწყვეტილების საფუძველზე, მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია, ორი წლის ვადით. გადაწყვეტილებით განსაზღვრული იქნა რეკომენდაციები, რომელთა შესრულებაზე იმუშავა დაწესებულებამ. მეხუთე სტანდრტთან დაკავშირებით, საბჭომ დაადგინა: „ხარისხის მექანიზმების შედეგად გამოკვეთილი საკითხები (დამსაქმებლის

მიერ აღწერილი პრობლემები) აისახოს საგანმანათლებლო პროგრამაში ან მისი გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, არსებობდეს დასაბუთებული მტკიცებულება.“ აღნიშნული რეკომენდაციის შესასრულებლად, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის გადაწყვეტილებით შეიქმნა საგანმანათლებლო პროგრამის მრჩეველთა საბჭო და ასევე, პროგრამის სარევიზიო კომიტეტი. აღნიშნულმა კომიტეტმა პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ერთად იმუშავა საბჭოს მიერ გაცემულ რეკომენდაციებზე და მათი გათვალისწინებით, განხორციელდა პროგრამის მოდიფიცირება. გარდა ამისა, შესწავლილ იქნა უცხოური საგანმანათლებლო დაწესებულებების ანალოგიური პროგრამები, განხორციელდა გარე შეფასებები და შრომის ბაზრის კვლევა და ამ ყველაფრის შედეგად, განახლდა საგანმანათლებლო პროგრამა. პროგრამამ გაიარა კოლეგალური გარე შეფასება ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივრსიტეტის და ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის , ასევე, ბერლინის განათლებისა და კვლევის მენეჯმენტის ინსტიტუტის ფარგლებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების განაცხადი; ○ აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 20 მარტის N38 გადაწყვეტილება; ○ შრომის ბაზრის კვლევა; ○ ოქმები საგანმანათლებლო პროგრამის მრჩეველთა საბჭოსა და პროგრამის სარევიზიო კომიტეტის შექმნის შესახებ; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს შიდა რეგულაცია - „საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, გადასინჯვისა და შეწყვეტის პროცედურები.“ აღნიშნული აქტის თანახმად, „საგანმანათლებლო პროგრამის გადასინჯვის მიზანია აკადემიური შინაარსისა და ხარისხის გაუმჯობესება, პროგრამის სწავლის შედეგებსა და სტუდენტების მიერ მიღებულ კომპეტენციებს შორის თანხვედრის მონიტორინგი, პროგრამის საჭიროების შესაბამისობა და კურსდამთავრებულთა დასაქმების გაზრდა.“ ამასთან, საგანმანათლებლო პროგრამების გადასინჯვა ხორციელდება ორ წელიწადში ერთხელ, პროგრამის თვითშეფასების პრინციპებისა და პროგრამის ეტაპობრივი თვითშეფასების სახელმძღვანელოს შესაბამისად. დეკანის მოთხოვნით, ასევე შეიძლება დაიწყოს სასწავლო პროგრამის არაგეგმიური გადასინჯვა. საგანმანათლებლო პროგრამის გადასინჯვის წინადადება ემყარება პროგრამის თვითშეფასების შესახებ ანგარიშს. აქტით დადგენილია პროგრამის გადასინჯვისათვის გასათვალისწინებელი ფაქტორები, მათ შორის, სტუდენტთა კმაყოფილება სწავლის, სწავლებისა და შეფასების პროცესებში, ასევე შრომის ბაზრის საჭიროებები. წარმოდგენილი პროგრამის შეფასება ხორციელდება აკადემიური/მოწვეული, ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში ხორციელდება პროგრამაში ცვლილებების განხორციელება, მისი განვითარების მიზნით. ხარისხის სამსახური უზრუნველყოფს ყოველი სემესტრის ბოლოს სტუდენტთა გამოკითხვას, ლექტორებისა და სასწავლო კურსების შეფასების მიზნით. საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ცვლილებების საფუძველზე, ხორციელდება სილაბუსების განახლება. ამასთან, ხარისხის სამსახურის ორგანიზებით, სტუდენტების, აკადემიური, ადმინისტრაციული და მოწვეული პერსონალისა და სხვა დაინტერესებულ მხარეებისგან მიიღება უკუკავშირი თვითშეფასების პროცესზე, შემდგომი სასწავლო წლის დაგეგმვისათვის. დაწესებულებაში ასევე ხორციელდება ლექციების მონიტორინგი, ლექციებზე დასწრების გზით, მათ შორის, პანდემიის პერიოდში, ონლაინ პლატფორმის მეშვეობით ჩატარებულ ლექციებზე დასწრებით. საგანმანათლებლო პროგრამა ფასდება გარე შემფასებლების, ასევე დამსაქმებლების მიერ. როგორც ინტერვიუს შედეგებმა დაადასტურა, დამსაქმებლები და კურსდამთავრებულები ინტენსტიურად ურთიერთობენ დაწესებულებასთან. უნივერსიტეტი ახორციელებს კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევას, იღებს შეფასებებს დამსაქმებლებისგან, პრაქტიკის განმახორციელებელი სუბიექტებისაგან როგორც სტუდენტების/დასაქმებული კურსდამთავრებულების, ისე პროგრამის კურიკულუმის შესახებ. პროგრამის

რეაკრედიტაციისათვის თვითშეფასების განაცხადზე მუშაობის პროცესში ყველა მითითებული მხარე აქტიურად იყო ჩართული, პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. ზემოხსენებული შეფასებებისა და გამოკითხვების შედეგების ანალიზის საფუძველზე, დადგინდა, რომ პროგრამის გაუმჯობესების მიზნებისათვის, დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების მრჩეველთა საბჭო, (მონაწილეობს საგანმანათლებლო პროგრამისა და სწავლის შედეგების შემუშავებაში, აძლევს რჩევებს პროგრამის ხელმძღვანელს, დეკანს და შესაბამის ვიცე-რექტორს შრომის ბაზრის უახლესი ტენდენციების შესახებ და აქტიურ როლს ასრულებს პროგრამის შეფასების, განხილვისა და გაუმჯობესების პროცესში, პროგრამის შრომის ბაზარზე აქტუალურობის, კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და კარიერული ზრდის თვალსაზრისით) და საჭიროების შემთხვევაში, ასევე, იქმნება სარევიზიო კომიტეტი, რომელიც ეხმარება პროგრამის ხელმძღვანელს განხილვის პროცესში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების განაცხადი და თანდართული დოკუმენტები; ○ აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 2 მარტის N17 გადაწყვეტილება; ○ აკრედიტაციის პროცესში განხორციელებული ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ დამსაქმებელთა აქტიური ჩართულობა პროგრამის განხორციელებაში.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია	მეტწილად	ნაწილობრივ	არ არის

	მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება, საფეხური: ტურიზმი, პირველი საფეხური

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 44

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ეკა ლეკაშვილი

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის</u>

ეკა დევიძე ხელმოწერა 

რუსუდან სეთურიძე ხელმოწერა

სოფიო უგრეხელიძე ხელმოწერა

თამარ თავხელიძე ხელმოწერა